ცნობის ფურცელი

№ 2190 სამშაბათი, 24 ივნისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2190

ხელის-მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვინცენტ დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

3 მან. და 50 კ. ღირს ყოველდღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი"
კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივლისიდან წლის დამლევამდე

20 ამა ივნისს, სოფ. ლაჯანაში (ლეჩხუმის მაზრა) გარდაიცვალა

თავ. ლევან გოჯასპარის ძე გელოვანი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა კნ. დესპინე გრიგოლ შერვაშიძის ასული და შვილები: კონსტანტინე, პლატონ და ვარლამ გელოვანები და სთხოვენ მობრძანდნენ 25 ამა ივნისს განსვენებულის დაკრძალვაზე სოფ. ახალ-ქალის საგვარეულო სასაფლაოზე. (2—1)

ბათუმში
ახლად გამართული სასტუმრო
„ბერლინი"

მიხეილის ქუჩა, ქალაქის შუაგულში, ნავთ-სადგურისა და სავაჭრო კანტორების მახლობლად, ზღვაზედ გადასახედია.

ნომრები კარგად არის მოწყობილი

ყოველგვარი მოწყობილება, ელექტრონის ზარები და სუფთა საცვალი; ვანნები.

ნომრის ფასი 50 კაპეიკიდან. თვეობით ნაკლებ. ფასი ყველაფერზე დაკლებულია. მოსამსახურენი ზრდილობიანად იქცევიან.

სასტუმროს პატრონი რ. ა. ქანქლაძე.
(3—6.—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ვ. ხ. მუსხელაშვილისა.
(გუდვინიშვილისეული)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
დილით:

ვ. მ. ჩიქინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღლინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ა. ზიდგიანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მაჩხვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზრ. მ. ხოჯალმესხი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ვ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კვლევები.)

მუდმივი ექიმი ვ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.)
ტელეფონი № 274 (წლ.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

გლინსკის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

როგორ ვუშველოთ ქართულ თეატრს?

ქართულ თეატრის საქმე, ყოველ სხვა საქმესავით, თავის მეთაურებისაგან ბევრ თავ-გინწირვას და ბევრ დაუღალავ შრომას თხოულობს. ამ საქმეს სიყვარულით და სულით-გულით უნდა ემსახურებოდნენ. გულ-მკვდრად, ფორმალურად და „ჩინოვნიკურად" რომ მოექცნენ, საქმეს ანდერძს აუგებენ. ხომ მოგეხსენებათ, ამ „ჩინოვნიკურ" მოქცევას ბევრი სასარგებლო, რიგიანი საქმე დაუღუპავს და გაუქრია. „ჩინოვნიკი" მხოლოდ საქმის გარეგან, თვალით დასანახ მხარეს აქცევს ყურადღებას, საქმის საფუძვლიანი შეგნება, იმის განვითარებისათვის გულიანად ზრუნვა კი „ჩინოვნიკის" საქმე როდია.

ჩვენის თეატრის საქმეშიაც ესევე მოხდა. თუ ამ საქმეს ბოლო არ მოეღო, ეს მარტო იმის ბრალია, რომ ჩვენ თეატრს დიდი სიცოცხლის უნარი ჰქონდა. თუმცა გარემოება არას დროს ხელს არ უწყობდა, საქმე მაინც არ მოკვდა, დღესაც სული უდგა და მაჯა უცემს. მაგრამ ვაი ამ სიცოცხლესა და მაჯის ცემას!

მართალი,ა ჩვენის თეატრის მეთაურებში ყოველთვის ერივნენ და ეხლაც ურევიან საქმისათვის თავდადებულნი პირნი; ესენი მთელ თავიანთ ძალასა და ღონეს თეატრის საქმეს ალევენ, მაგრამ თეატრის საქმე მაინც ისევ სუსტად, დუნედ და ცუდად მიდის. რა არის ამის მიზეზი? წინადაც და ეხლაც მრავალ მიზეზს უჩვენებენ: ჩვენის თეატრის მეთაურებს საინტერესო რეპერტუარი ვერ შეუდგენიათ, როლებს მოუფიქრებლადა და დაუდევნელად ანაწილებენ, რიგიანი, სასარგებლო არტისტები ვერ მოუწვევიათ, პიესებს დაუდევნელად სდგამენ; საზოგადოებაც გულგრილად ეკიდება თეატრის საქმეს; ამას გარდა კიდევ ათასი წუნი და ნაკლი აქვს ჩვენ თეატრსაო. ეს ჩივილი საბუთიანი და სამართლიანია.

ეხლა ქართულ თეატრის წრეს გადაუწყვეტია,საქმეს სერიოზულად დავუფიქრდეთ და ვუშველოთ რამეო. ეხლაც თავი და თავი საგანი რიგიან რეჟისორის პოვნაა. რეჟისორი სცენის სული და გულია, იმისი მთავარი ძარღვია. ბევრი რამაა იმის ხელში. მთელი სცენის ძალა, პირველ არტისტებიდან უკანასკნელ ბუთაფორამდე და მაშინისტამდე, სულ რეჟისორის ხელში უნდა იყვეს. რეჟისორს ისეთი ძალა უნდა ჰქონდეს, რომ სცენაზე ყველაფერს აერთებდეს და განაგებდეს, ერთის ხელის მოქნევით მთელ სცენას თავის ნებაზე ატრიალებდეს. აქედან ცხადია, თუ რა ძნელი ასარჩევია რეჟისორი.

რეჟისორის არჩევის დროს ათასი შიში იბადება; ყველაზე ძლიერ იმისი ეშინიანთ, ვაი თუ რეჟისორმა თავისი ძალა ცუდად მოიხმაროსო და ვაი თუ ინტრიგები, ჩვეულებრივი თეატრის ინტრიგები, გაიმართოსო. ხომ იცით, ყველა სცენის მსახურებს ინტრიგები ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. ერთი რამ აბრკოლებს კიდევ თეატრის საქმეს: ჩვენ არტისტებს საერთო საქმის ერთ-სულად, თანხმობით მართვა არ შეუძლიანთ. მეტად ძნელი საშოვნელი და ასარჩევია ისეთი კაცი, რომ სცენის საქმეც კარგად იცოდეს და სცენის მსახურებსაც ყველას ერთნაირად მოსწონდეთ. ჩემის აზრით, ჯერ-ჯერობით ყველას ის ემჯობინება, რომ საცდელად მაინც, რეჟისორები რიგით ინიშნებოდნენ ჩვენის ტრუპის მეთაურთაგან (ძველ, გამოცდილ არტისტთაგან) და ამავე დროს სამუდამო კომისიაც ვიყოლიოთ. კომისიის წევრებად უსათუოდ არტისტებიც უნდა იყვნენ. ამ კომისიამ ყველა საქმეზე უნდა მოილაპარაკოს: რეპერტუარსა, როლების განაწილებასა, პიესების დადგმაზე და სხვ. მორიგე რეჟისორი მოკლე ვადით დაინიშნება (მაგალითად 4—5 წარმოდგენისათვის). ამ მოკლე ვადის დროსაც რეჟისორს კარგად შეუძლიან თავისი საკუთარი ინდივიდუალური ხელოვნებითი გემოვნება და შნო გამოიჩინოს. თვითნებობისაგანაც ისევ ეს ამხანაგებისაგან შემდგარი კომისია იხსნის, რადგან ამ კომისიის დაუკითხავად რეჟისორი პიესას ვერ დასდგამს. მუდმივი მოლაპარაკება თეატრის წრეს თანდა-თან ერთობასა და თანხმობას შეაჩვევს. კომისიამ ამის მეტი სარგებლობაც რომ არ მოიტანოს, ესეც კარგი საქმე და დიდი წარმატება იქმნება.

მორიგეობით რეჟისორობა წაახალისებს და ერთმანეთ შეაჯიბრებს რეჟისორებს. ყველა ეცდება, თავის მორიგეობაში პიესა კარგად დადგას და საზოგადოების ყურადღება დაიმსახუროს. ყველა ეს უსათუოდ მოუხდება და წინ წასწევს საქმეს, ყველა ეს, დარწმუნებული ვარ, სცენის მსახურ-არტისტებს საერთო საქმეს შეაჩვევს და ბოლოს არტისტები შეიძლებენ, თავიანთ თავს თითონვე მოუარონ, საკუთარ საქმეს თვითონვე გაუძღვნენ და ბავშვებივით ნიადაგ ხელით სატარებლები აღარ იყვნენ.

დ. ყიფიანი.

ფიქრები...
მხოლოდ ფიქრები!
XI

საკვირველი კაცია ბიძაჩემი. გუშინ-წინ სოფლიდან ჩამოვიდა, მთელი ტფილისი მიიარ მოიარა, ყველაფერი დაათვალიერა და ქალაქი ძლიერ მოეწონა: დიდი წესიერება და რიგიანობა სუფევსო.

მერე ამიხირდა: ჩემი შთაბეჭდილებანი უთუოდ გაზეთში უნდა დამიბეჭდოვო. ვერა გზით ვერ დავარწმუნე, რომ ეს უხერხული იყო. ძალზე გამიჯავრდა. ისეთნაირად დამემუქრა... რომ ვეღარაფერი ვუთხარი, გავჩუმდი და ძალას დავემორჩილე.

ვბეჭდავ ბიძაჩემის შთაბეჭდილებებს.

თავისუფალი აზრები—ასეთია მათი სახელი.

„დილაზე ადრე ავდექი. სარკეში ჩავიხედე, თვალში ჩემი დიდი თმა მეცა. ვთქვი: ეს რიგზე არ არის; აქ ქალაქია, არ მოეწონებათ. ასე იფიქრებენ, რომ მე...

„ჩაი დავლიე და ძირს ჩამოვედი სასახლის ქუჩაზე. მაშინათვე პარიკმახერთან შეველი და თმა სულ ერთიან გადავაპარსვინე დანით. ასე სჯობია: ყოველთვის მეტი კანონიერება სჯობია და წესიერება!

„ქუჩაზე გავიარ-გამოვიარე. ნელა დავიარებოდი, ყველას მოწიწებით და ღიმილით ვუცქეროდი. თავდაბლობა და მორჩილება დიდი ღირსებაა ადამიანისათვის. დედა-მიწაზე არავინ არ უნდა იფიქროს, რომ მე ვისმეს ვაწყენინებ, ან წინააღმდეგობას გავუწევრად?

„ქუჩაზე საზოგადოება რიგ-რიგზე დადიოდა. ვინც იქით მიდიოდა, მარჯვენა მხარეზე იყო, ვინც აქეთ—მარცხენაზე. მეც ფრთხილად დავსეირნობდი. ერთი ტროტუარიდან მეორე მხარეზე მომინდა გადასვლა. მაგრამ ვერ გავბედე: ეგებ ეს შეუძლებელია მეთქი. იქვე პოლიციელი იდგა და მოწიწებით მივმართე: მოწყალეო ხელმწიფეო, შემიძლია, აი, იქით გადავიდე?—მან დარბაისლურად და ზრდილობიანად მიპასუხა: რატომ! შეიძლება, შეიძლება...

„ყოველ სახლის წინ ალაყაფის კარებთან სუფთად გამოწყობილი მეეზოვეები იდგნენ; გულზე დიდი მედლები ეკიდათ. ისეთი ჰკვიანური და ამაყური სახეები ჰქონდათ, რომ სწორედ გიამებოდა ადამიანს.

„ბაღთან გავიარე. შიგ შეველი და ერთი შესანიშნავი განცხადება წავიკითხე: „სასტიკად აღკრძალულია აქ..." შევჩერდი. ღმერთო ჩემო! რა ღრმა, რა დიდებული აზრია! რა დიდის ჭკუის პატრონი უნდა იყოს, ვინც ეს მოიგონა?!...

„რა იქმნებოდა ამაზე უკეთესი, რომ ყველაფერს ეწეროს: ეს აღკრძალულია, ეს ნებადართულია! მაშინ ხომ არ მოხდებოდა არც შეცდომა, არც სიბოროტე, არც უწესოება? ხომ ყველაფერი თავის რიგზე იქმნებოდა? სად არიან ეს ვიღაც სწავლულები და მეცნიერები ვართო? რად არ მიაქცევენ ამას ყურადღებას—რომ ყოველს აზრს, ფიქრს, გრძნობას, საქციელს, მოძრაობას ბეჭედი ჰქონდეს დაკრული: „აღკრძალულია", თუ „ნება დართულია". მაშინ აჰყვავდებოდა დედა-მიწა, დამყარდებოდა ბედნიერება კაცთა შორის!

„უდიადესი აზრია!.."

კმარა, ბიძა-ჩემო! კმარა, თორემ მკითხველი გაგვიწყრება. მეტი ადგილიც აღარ არის გაზეთში.

—

უნდა დავუმატო, რომ ბიძა-ჩემის წერილს ქვეშ ლათინური ფსევდონიმი აწერია „servus". *)

სიტყვ.

საზღვარ-გარედ

სერბია. სერბიის ახალი მეფე კმაყოფილი უნდა იყოს სერბიის ხალხის დახვედრით. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი აგვიწერს სახალხო დღესასწაულს ტოპჩიდერის პარკში,ბელგრადის ახლო. სამ საათზე პეტრე ყარაგიორგიევიჩი მინისტრ კალიევიჩის თანხლებით წავიდა ტოპჩიდერის პარკისაკენ. როცა დანიშნულ ადგილს მივიდა და ტრიბუნაზე ავიდა, ჟანდარმები შესავალ კარებთან დადგნენ. მეფე მიუბრუნდა მათ და უთხრა: „ვისგან მიფარავთ? თუ ხალხს არ ვუყვარვარ, სულ ერთია, თქვენ მაინც ვერ მიშველით". ამის შემდეგ მეფემ ხალხში დაიწყო სიარული და გახარებული უცქეროდა, თუ როგორ თამაშობდნენ სერბიულ „კოლო"-ს (ეროვნული ცეკვაა). „ჟივიო"-ს ძახილი არ წყნარდებოდა და მეფემ უთხრა ხალხს—„გმადლობთ, ძმებო! კმარა, ვიმხიარულოთ"-ო და თვითონაც მიიღო მონაწილეობა „კოლო"-ში; მაგრამ ხალხმა ხელში აიყვანა; 25 ათასზე მეტი იყო დამსწრე ხალხი. ვიღაც სოფლელი მოსული გლეხი მივიდა მეფესთან და სთხოვა: „ბატონო, მომეცი ნება ხელზე გაკოცო"-ო. მეფეს უარი არ უთქვამს და თითონაც შუბლზე აკოცა გლეხს. დაბრუნებისას მეფის ეტ-

---

*) ალბად, ბატონ სიტყვას ბიძამ არ იცის, რომ „servus" ქართულად მონაა.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

ლს უკან დაედევნენ პატარა ბავშვები; ერთმა პატარა ქალმა თაიგული ესროლა და მეფემაც ხელით დაიჭირა. ერთმა გლეხის ქალმა მიაძახა: „ბატონო, ბედნიერ საათზე ახვედი ტახტზე! იცოცხლე!“. თითქმის სრული ორი საათი დაჰყო მეფემ ხალხთან.

ოვაციები ისევ განმეორდა საღამოს წარმოდგენის გათავების შემდეგ. ხალხი გატაცებული იყო და მეფის ეტლი ძლივს მიდიოდა.“

ერთი გაზეთი ამბობს: თუ სერბიელებ შორის მეფის სიყვარულია, ეს მეფე პეტრე ყარაგიორგიევიჩი არისო.

◆ ჯერ-ჯერობით თვითონ მეფეც კარგ რამეებს ჰპირდება თავის ქვეშევრდომებს.

კონსტიტუციის ძალით, სერბიაში მწერლობის სრული თავისუფლება უნდა იყოს. ავაკუმოვიჩის დროებით სამინისტრომ ვერ გაბედა თავის ნებით მოესპო ობრენოვიჩების მიერ შემოღებული ცენზურა. არა თუ ცენზურა არ მოუსპიათ, პირიქით, ცენზურამ მიიღო სასტიკი ბრძანება—არ გაუშვა ცნობები იმის შესახებ, რომ უცხოელი სახელმწიფოები თხოულობენ მეფე-დედოფლის მკვლელების დასჯასო.

მეფე პეტრე კი, როგორც ირწმუნებიან, გულწრფელი მომხრეა მწერლობის თავისუფლებისა. სხვათა შორის, პეტრე ყარაგიორგიევიჩს უნდა ეთქვას ორის წლის წინად—სახალხო განათლება, ნამდვილი სამართალი და თავისუფალი მწერლობა—აი, ის ბოძები, რომელზედაც დამყარებულია ქვეყნის ბედი„.

ეს სიტყვები ეკუთვნის იმ დროს, როცა პეტრე ყარაგიორგიევიჩს იმედიც არა ჰქონდა სერბიაში გამეფებისა. მაგრამ გაზეთები გადმოგვცემენ გამეფების შემდეგ ნათქვამსაც.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ბელგრადიდან, რომ უცხოეთის გაზეთები აქამდე თავისუფლად ვერ შესულან სერბიაში—ბევრ ადგილს შლის ცენზურაო. ერთი ბელგრადელი მოხელე ჩიოდა თურმე იმის გამო, რომ უცხოეთის გაზეთები მეტად ჰკიცხავენ სერბიასაო. მეფეს ამაზედ უნდა ეთქვას: „მომავალში იმდენად ღონიერად უნდა ვგრძნობდეთ თავს, რომ ავიტანოთ ევროპის კრიტიკა, და თან იმდენად ცნობის მოყვარე უნდა ვიყვეთ, რომ გვეინტერესებოდეს ევროპის აზრი სერბიაზე. თუ სხვა მწერლობის აზრს შევავიწროვებთ, ამით არაფერს მოვიგებთ“.

თუ ტახტზე ასვლამ და მეფობამ არ შეუშალა აზრი და გული პეტრე ყარაგიორგიევიჩს, რაც ერთობ ხშირი მოვლენა ყოფილა, სერბიის სკუპშჩინას კარგი არჩევანი მოსვლია.

პოლიტიკურად გაუწვრთნელი ხალხი, როგორც სერბიისა და სხვა მრავალმა მაგალითმა დაამტკიცა, ვერაფერი გარანტიაა ვერც კონსტიტუციისა და ვერც ტახტისა. სანამ სერბიის ხალხი პოლიტიკურად შეუგნებელი და განუვითარებელია, ყოველთვის შესაძლებელია სხვა-და-სხვა გვარი coup d' état და ხალხის პოლიტიკურად განვითარებისათვის კი ერთად-ერთი საშუალება თავისუფალი წეს წყობილება და თავისუფალი მწერლობაა.

ავსტრია და იტალია. ავსტრიისა და იტალიის მტრობამ მეცნიერების კონგრესზედაც იჩინა თავი.

ეხლა-ხან ბერლინში იყო საერთაშორისო კონგრესი ქიმიკოსებისა. კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე საფრანგეთის დელეგატებმა წინადადება შეიტანეს, რომ მომავალი საერთაშორისო კონგრესი რომში მომხდარიყო. ავსტრიის დელეგატები წინააღმდეგი გაუხდნენ ამ წინადადებას და თავის მხრივ ლონდონი არჩიეს. ერთმა ავსტრიელმა, სხვათა შორის, სთქვა:

„რომში, გარდა ლამაზ ცისა და ქალების ლამაზ თვალებისა, არაფერი არ არის, რომ ყურადღების ღირსი იყოს!“

ასეთმა თავხედ სიტყვებმა დიდი პროტესტი და სტვენა გამოიწვია კონგრესის წევრთა უმრავლესობის მხრივ.

ერთმა იტალიელმა დელეგატმა პატერნომ მაშინვე წარმოსთქვა მხურვალე საპასუხო სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი უთხრა „იტალიის საყვარელ მოკავშირეთ“:

„ჩვენ თანახმა ვართ შევიკრიბოთ იქ, სადაც უმრავლესობა მოისურვებს, იქნება ეს ლონდონი თუ რომი; მაგრამ ერთი კი უნდა შევნიშნო ჩვენ მოკავშირე იმპერიის დელეგატებს: იტალია, მეცნიერების პროგრესის მხრივ სხვა ქვეყნებზე დაბლა არა სდგას; რომში, გარდა ლამაზ ცისა და ქალების ლამაზ თვალებისა, არის ბევრი რამ, რაც ღირსია აღტაცებისა და შესწავლისა. მაგრამ მე ძალიან არ მიკვირს ავსტრიელების უვიცობა: ისინი იცნობენ იტალიას მხოლოდ 1859 წლამდე, ე. ი. იმ იტალიას, რომელიც მათ უღელ ქვეშ იყო“.

მთელი კონგრესი, გარდა ავსტრიელ დელეგატებისა, დიდის ტაშის ცემით მიეგება გაბედულ იტალიანელ სენატორს.

ბოლოს კონგრესმა რომი აირჩია მომავალ კონგრესის ადგილად. საფრანგეთისა და გერმანიის დელეგატები ერთ ხმივ თხოულობდნენ რომის არჩევას.

ხალხი, ყველა პარტიის პოლიტიკური მოღვაწეები და თვით მეცნიერებიც კი, რომელნიც თავიანთ კაბინეთებში შეკეტილან და წმინდა სამეცნიერო კვლევა ძიებას მისცემიან, აღშფოთებულნი არიან იტალიაში ავსტრიელების პოლიტიკით ავსტრიაში მცხოვრებ იტალიელების მიმართ. როგორღა უნდა გაუძლოს სამთა კავშირმა ასეთ გარემოებას? მთავრობა იძულებული გახდება აჰყვეს მთელის ერის სურვილს: დასავლეთ ევროპაში ხალხი იმდენად განვითარებულია პოლიტიკურად, ისეთი პოლიტიკური წეს-წყობილება შეუქმნია თავის უფლებათა დასაცველად, რომ იქ მთავრობა ვერ გაბედავს დიდხანს ეწინააღმდეგოს ერის საერთო მოთხოვნას.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 23 ივნისს, ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ საინტერესო ცნობები წარუდგინა საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტს. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, ტფილისის გუბერნიაში 1902 წელს ყოფილა 183 ექიმი, აქედან ტფილისში 150 და მაზრებში 33 ქალი ექიმი ყოფილა—16. ამ წელს მაზრის ექიმებს შეუმოწმებიათ 430 მკვდარის კაცის გვამი. ტფილისის გუბერნიაში წარსულ წელს 16 სასოფლო-სამკურნალო ყოფილა. ახლად დაუარსებიათ ორი—მეჯვრის ხევსა და ვაჩნაძიანში. სამკურნალოების დასაარსებლად განაჩენი დაუდგენია ორ სოფლის საზოგადოებას—ახალქალაქისა და შულავერისას. 9 სამკურნალო ინახება ხაზინის ფულით, ხოლო 7 სოფლის საზოგადოების ფულით. სამკურნალოებით საანგარიშო წელს უსარგებლნია 114,616 კაცს. ექიმებს გარდა გუბერნიაში ყოფილა 141 ბებია-ქალი და 93 ფერშალი. აფთიაქი 44 ყოფილა ტფილისის გუბერნიაში, აქედან 20 სოფლისაა. წლის განმავლობაში 382,476 რეცეპტით გაუტანიათ აფთიაქებიდან წამალი. 44 აფთიაქს წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 289.358 მან. მთელს გუბერნიაში სამკურნალო დახმარებისათვის მიუმართავს 277,517 ავადმყოფს. აქედან გარდაცვლილა 3730 კაცი.

წარსულ წელს უფრო ძალიან მძვინვარებდა მალიარია. სულ გამხდარა ავად მალიარიით 50,039 კაცი, რაც ყველა ავადმყოფების 26%-ს შეადგენს. მალიარიას საზოგადოდ დიდი ვნება მოაქვს ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთათვის. შემდეგ, უფრო გავრცელებული ყოფილა გრიპპი, წითელა და სხვა. ძალიან გავრცელდა შარშან ვენერიული ავადმყოფობა (ტფილისის გუბერნიაში სულ 13 საროსკიპო სახლია, სადაც 312 ქალია). სიფილისით ავად ყოფილა 1147 კაცი და ქალი.

ზემოდ მოხსენებულ 277,517 ავადმყოფიდან სამკურნალოებით უსარგებლნია მხოლოდ 12724 ავადმყოფს. აქედან ნათლადა სჩანს, რა მცირეა სამკურნალოების რიცხვი.

◆ 21 ივნისს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა **საჯარო ვაჭრობა** ამ ბანკში დაგირავებულ ტფილისის მამულებისა. გასასყიდად დანიშნული იყო 30 მამული. გაიყიდა 15-დანარჩენ 15 მამულის გასასყიდად ვაჭრობა დაინიშნა 12 ივლისისათვის. გაყიდულ მამულებიდან სამი ქართველისაა, 7 სომხისაა, 4 რუსისა და 1 გერმანელისა. გაყიდულ მამულებზე ბანკისა ითვლებოდა 132,093 მ. 17 კ., გაიყიდა 144,758 მან. ხვალ საჯარო ვაჭრობაზედ გასასყიდად დანიშნულია სოფლის მამულები, რომლებზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი.

◆ გუშინ, 23 ივნისს, მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დეპეშით, რომ რუსეთის **მეღვინე-მევენახეობათა** გამოსაკვლევად კრება დაიწყება 30 ივნისს და საჭიროა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი ამ დროისათვის გამოცხადდნენ პეტერბურგში.

◆ უმაღლესის ბრძანებით, დონის ოლქის ქალაქ ნოვოჩერკასკში **არსდება სამოსამართლო პალატა**. ამ პალატას დაექვემდებარება ნოვოჩერკასკისა, ტაგანროგისა, უსტმედვედიცისა, ეკატერინოსლავისა და სტავროპოლის ოლქის სასამართლოები, დღემდე ეს სასამართლოები ტფილისის პალატას ექვემდებარებოდნენ.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა დაავალა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს დაეთვალიერებინა ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში ის ღარიბი მცხოვრებნი, რომელნიც **დაზარალდნენ წყალდიდობისაგან** 21 ივნისს. ზედამხედველს ბ-ნ ზაბოვს ასეთი დაზარალებულნი აღმოუჩენია მხოლოდ პოლიციის მე-6 ნაწილში, სურფ-კარაპეტის ქუჩაზე. მოურავის განკარგულებით დაზარალებულთ აღმოუჩინათ დახმარება. საკვირველია, რომ ბ-ნ ზაბოვს მარტო სურფ-კარაპეტის ქუჩაზე აღმოუჩენია დაზარალებულნი, როცა მოვარდნილმა წყალმა მთელი ვერა, მთა-წმინდა, ამაღლების უბანი, ჩუღურეთის ერთი ნაწილი სულ ერთიან წალეკა.

◆ **ტფილისში ჩამოვიდნენ** სარატოვის ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლენი, 30 კაცამდე. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს სიონის საკრებულო ტაძარი, სასულიერო მუზეუმი, კავკასიის მუზეუმი, საბოტანიკო ბაღი და სხვა შესანიშნავი ადგილები. ექსკურსანტები ამ დღეებში გაემგზავრებიან ქუთაისის გუბერნიაში.

◆ კვირას, 22 ივნისს, აკურთხეს ახლად გამართული **ხორცის დუქანი ვერაზე**. კურთხევას დაესწრნენ ქალაქის მოურავი, გამგეობისა და კომისიის წევრნი, ზოგიერთი ხმოსანი და სხვანი. დუქანი ელექტრონით არის განათებული.

◆ **თელავის მაზრის უფროსი** ბ-ნი განსევიჩი დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან.

◆ **თიანეთის მაზრის უფროსის** თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ტფილისის მაზრის უფროსის უფროსი თანაშემწე, შტაბს-კაპიტანი ლევონტიევი.

◆ გუშინ ფარმაციის მაგისტრმა იოანესიანმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, იჯარით მიეცეს ქალაქის აფთიაქი გიდროვინის პრისშეჭ-

ფელეტონი

ჟურნალისტის შენიშვნები

ბ) თეატრში მოსიარულე საზოგადოება

დიდი ხანია, რაც ქართულ თეატრის საზოგადოებას ვაკვირდები. წინად უბრალო მაყურებელივით ვაკვირდებოდი, ბოლოს როგორც რეცენზენტი. ბევრი რამ ვნახე და გავიგონე თეატრის დარბაზში; მინდა ეხლა ჩემი ნახული და გაგონილი მკითხველსაც გავუზიარო. წინადვე კი მოგახსენებთ, რომ გასახარს და გულის გამხალისებელს ბევრს ვერას მოგახსენებთ. პირიქით ბევრი რამ ისეთი ვნახე, რაც კაცს დარდებს აუშლის. ან კი სხვანაირი, უფრო კარგი შთაბეჭდილება რას უნდა მოეხდინა!

რომლისამე ევროპის ქალაქის, გინდ რუსეთის სატახტო და ზოგიერთ პროვინციალურ ქალაქის თეატრის საზოგადოება უმაღლეს სასწავლებლის მსმენელებს უნდა შევადაროთ; ჩვენის ქართულის თეატრის დარბაზი კი უფრო დაბალ სასწავლებლის კლასს მოგაგონებთ. პატარა მოწაფეებივით აქაური მაყურებლებიც ცუდად არიან მომზადებულნი, ანბანის სარგებლობა ძლივს ესმისთ და დისციპლინასა და წეს-რიგს ხომ ეს-არის ეხლა ეჩვევიან. როგორც ჰხედავთ, ეს შედარება მაგდენად გასახარი როდია, მაგრამ მგონია, რომ ეს ამბავი სასოწარკვეთილებაში როდი უნდა გვაგდებდეს. საზოგადოებრივ საქმის გაუმჯობესება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ამ საქმის ყოველი წუნი და ნაკლულევანება ისევე კარგადაა შესწავლილი, როგორც შესწავლილია ამ საქმის მოსაწონი და კარგი მხარე. საზოგადოებრივ საქმეს უსათუოდ ფხიზლად, თვალ-ხილულად უნდა შევხედოთ და არა ტენდენციოზურად. კრიტიკულ სიტყვას ხშირად ვერ აფასებენ, სწორედ ვერ უცქერიან და უსაფუძვლოდ ეშინიანთ, ვაი თუ ჩვენ საკუთარ საქმეს ვავნოთო. ამ შიშის წყალობით ხშირად ამ საქმეს გონიერ დახმარებას აღარ უწევენ, საქმის განვითარებისათვის საჭირო კრიტიკაზე ხელს იღებენ და მთელ საქმეს მეტად კეთილ დედებისა და ნამეტნავად ლმობიერ ძიძების ამარას სტოვებენ და საქმეც უპატრონო, განებივრებულ ბავშვივით იღუპება. ყველა ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ გონება-დაბრმავებულ ხალხს კრიტიკა რაღაცა საშინელ კუდად მიაჩნია. ვაი თუ ამ კუდით „ჩვენ ქართულ საქმეს“ დიდი ზიანი მივცეთო! კრიტიკულ აზრისა ისე გვეშინიან, როგორც ჭირისა. ეს შიში ლამის სამუდამო თვისებად, სამუდამო სენად გადაგვექცეს.—ამ ავადმყოფობაზე მერე მოვილაპარაკოთ, ეხლა კი ისევ ჩვენის თეატრის საზოგადოებას დავუბრუნდეთ.

თავდაპირველად, ჩვენის თეატრის საზოგადოებად ქართველ ხალხის საშუალო და დაბალი წრეები მიმაჩნია და ჯერ მარტო ამ წრეებზე ვილაპარაკებ. ჩვენი უმაღლესი წრეო? იკითხავს მკითხველი. სად გინდა დამალოთ ეს წრე, ბ-ნო ავტორო? იქნება ხსენების ღირსადაც არა სთვლიდეთ, როგორც მცირე რასმეს? ან იქნება, თქვენის აზრით, ეს წრე არც კი არსებობდეს?

არა, მკითხველო, არა! საზოგადოების უმაღლესი წრე ჩვენცა გვყავს. ეს წრე ყველგან იჩენს ხოლმე თავს და ყველგან პირველი ადგილი უჭირავს. უიმისოდ არც ერთი დღესასწაული, არც ერთი იუბილე, არც ერთი საგანგებო სადილი არ მოხდება. მაშ როგორღა შემიძლიან ამისთანა წრე არად ჩავაგდო! მხოლოდ ეგ არის, რომ ეხლა მინდა მარტო ჩვენის სცენის ყოველ-დღიურ უბრალო წარმოდგენებზე ვილაპარაკო, იმ უჩინარ წარმოდგენებზე მოგახსენო, რომლებსაც ჩვენი უმაღლესი დიდ-კაცობა დასწრების ღირსად არც-კი სთვლის. ქართულ წარმოდგენებს ეს დიდ-კაცობა კი არა, სწორედ საშუალო და დაბალი წრეები და ცოტათი კიდევ მოსწავლე ახალგაზრდობა უდგამენ სულსა. როცა ჩვენის დიდ-კაცობის წარმომადგენელნი შემთხვევით უბრალო დღისითაც შემოიხედავენ ხოლმე ქართულ თეატრის დარბაზში, სახეს იღმეჭენ და პრანჭვით ამბობენ:

— რა უცნაური საზოგადოებაა დღეს თეატრშიო! ესენი ამისთანა სათაკილო სპექტაკლზე ბოლომდე ვერც კი სძლებენ. დიდ-კაცობას ძლიერ გაეხარდებოდა, რომ სუფთა საზოგადოებისათვის სხვა განსაკუთრებული დღეები იყოს დანიშნული, როდესაც ამათი თვალი ფოიეში მიკიტნის ახალუხსა, ან რკინის გზის ხელოსნის ბლუზას ვეღარ დაინახავს.

— წარმოიდგინეთ ჩემი ყოფა: ჩემს პარიკმახერის გვერდზე ჯდომა მომიხდა!—ჩიოდა ერთხელ თეატრში ერთი ინტელიგენტი. ერთის საათის წინ თეთრ ხალათში გამოწყობილი თავსა მკრეჭდა, ეხლა კი უცებ თეატრში მობრძანებულა და პარტერში გამოჭიმულა.

მართლაც და საშინელებაა! უნდა საიდუმლოთ მოგასენოთ,—გთხოვთ ჩვენში დარჩეს—რომ თეატრში ისე კარგად, ზომიერად და რიგიანად არავინ იქცევა, როგორც ეს უგნური საზოგადოება, რომლის მეზობლობაც ასე ითაკილა ჩემმა ინტელიგენტმა. რაც სცენაზე ხდება, ისიც კარგად ესმის ამ უცნაურ საზოგადოებას. სამაგიეროდ, უზრდელ და უცნაურ სიცილ-ხარხარით ისე ხშირად არავინ არ უშლის ხელს პიესის წარმოდგენას, როგორც წარჩინებულ დიდ-კაცობის ინტელიგენცია. მაგრამ ნუ რა გრჯით რა-კი, თუ ღმერთი გწამთ! არაფერი არ უთხრათ, თორემ, ხომ მოგეხსენებათ, ეს ინტელიგენცია ნამეტანი თავმოყვარე და ფხუკიანია. მართალია, პარტერის პირველ რიგში ზის, მაგრამ პიესას, არტისტის შრომას, ავტორის აზრსა და განზრახვას მაინც ბავშურად, გაუგებრად უცქერის. თვით ძლიერ ტრაგიკულ მომენტების დროსაც, თუ აქტიორმა ან ცხვირი დააცემინა, ან ერთი რამ სიტყვა სასაცილოდ ეჩვენა, მაშინვე ცათა ფრინვა ეკიდება და სიცილს იწყებს. სტატისტის სულელურ უშნო ოხუნჯობას რომ ყური მოჰკრას, რაც უნდა საშინელი დრამა იყოს, ამნაირ მაყურე-

ტზე წელიწადში 4000 მანეთად, მხოლოდ იმ პირობით, თუ სახლის პატრონი ქირას არ მოუმატებს.

✦ 20 ივნისს, ღამე, სიონის ტაძრის პირდაპირ, ძმათა ავეტისოვების სავაჭრო სახლში ქურდობა მოხდა. ამ რამდენისამე დღის წინად ერთ მდიდრულად გამოწყობილ კაცს ქარვასლის ზედა სართულში მოთავსებულ სასტუმროში დაუჭერია ერთი ნომერი სწორედ იმ ადგილას, რომლის ქვეშაც ავეტისოვების მაღაზიაა. ბოროტგანმზრახველთ უსარგებლნიათ უქმე დღით, გაუხვრეტიათ იატაკი და ჩასულან მაღაზიაში. იქ ქურდებს გაუტეხიათ რკინის შკაფი, გამოუღიათ 5000 მან. და დამალულან. ქურდებს წაუღიათ აგრეთვე ძვირფასი ნივთები და საქონელი, მაგრამ ჯერ ცნობაში ვერ მოიყვანეს, რამდენია მოპარული. ქურდები ჯერ ვერ აღმოაჩინეს.

✦ მესამე დღეა, რაც ქალაქის „ობოზი" მუშაობს ქუჩების გასაწმენდად ნიაღვრების მიერ ნამოტანილ ქვისა და ქვიშისაგან, მაგრამ ჯერ ვერ გაუსუფთავებიათ.

✦ გუშინ საუფლისწულო ქუჩის მცხოვრებლებმა ვერაზე სთხოვეს ქალაქის გამგეობას, თავის ხარჯით მოჰკირწლოს საუფლისწულო უწყების ქუჩა გუნიბის ქუჩიდან დარის ქუჩამდე.

✦ განსაკუთრებული საკრებულო ტფილისის სამოსამართლო პალატასთან, რომელსაც გამიჯვნის საქმე აბარია, აცხადებს, რომ ტფილისის გუბერნიაში წინად აღნიშნულ გასამიჯნავ ადგილებს გარდა უნდა გაიმიჯნოს: გორის მაზრაში—აწყურის ხევი, წითურა და ლაზური; დუშეთის მაზრაში—ლორთკარი.

✦ მეჯვრეთი ქუჩაზე გამართულია მალი ნიაღვრის სადენად. ამ მალის თავში საკუთარ სახლში სცხოვრობს სომხების მღვდელი გეორგ ტერ-ავეტისოვი. 21 ივნისის ნიაღვარს რკინის მალი ამოუძრია, ქვით და ქვიშით დაგუბებული წყალი გადასულა ნაპირებიდან, შეჭრილა სახლში ავეტისოვისა და, როგორც თითონ განაცხადა დიდი ზარალი მიუყენებია. ავეტისოვმა გუშინ წერილობით გამოუცხადა ქალაქის გამგეობას, თქვენის მიზეზით დიდი ზარალი მომივიდა, დანიშნეთ კომისია ზარალის გამოსარკვევად და ფული მომეცითო.

✦ 22 ივნისს, დაბახანის ღელეში წყალი ისე მოვარდნილა, რომ მე-6 ნაწილში თავ. ორბელიანების აბანოები დაუზარალებია.

✦ ველიამინოვის ქუჩაზე, სამკითხველოში, 21 ივნისს შეპარულან ვიღაც ქურდები, გაუტეხიათ ყუთი და 20 მანეთი წაუღიათ. წაუღიათ აგრეთვე ნივთებიც.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისიდან გვწერენ: „მეტად შევიწროვებულ და გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან აქაური შეგირდები. დღეს ყველგან იმაზეა ლაპარაკი, როგორ გააუმჯობესონ შეგირდების მდგომარეობა. ამის შესახებ გამოიცა 96 წლის 2 ივნისის კანონიც, რომლითაც სასტიკად აღკრძალულია ზედ-მეტი მუშაობა; ე. ი. 11—12 საათზე მეტისა. ქუთაისში ამ კანონს არავინ ყურადღებას არ აქცევს. აქ არა თუ 11—12 საათს, არამედ 18 და ხშირად 20 საათსაც ამუშავებენ შეგირდებს. მკითხველი გაოცდება და შეიძლება ეჭვშიაც შევიდეს, ნუთუ შეიძლება მართლა 18 და 20 საათი ამუშაონო. დიაღ, შეუძლებელი არაფერია. შეგირდი ვალდებულია დილის 4 საათზე ადგეს და იმუშაოს განუწყვეტლივ იმ დრომდე, ვიდრე „ხაზეინი" წავა სახლში, ე. ი. 10—11 საათამდის. მერე, როდესაც „ხაზეინი" მიდის, იმდენ საქმეს უტოვებს მოსათავებლად, რომ შეგირდმა რამდენიმე საათი კიდევ უნდა იმუშაოს. ბოლოს მუშაობისაგან დაქანცული შეგირდი იკვებება ცივს მჭადით, აგებს იქვე კედელზედ ჩამოკიდებულს ლოგინს და იძინებს გაუწმენდელ-გაუსუფთავებელ ქარხანაში. იმათთვის არ არის არც სისუფთავე, არც აბანო, არც სმა-ჭამა და არც ჩაცმა-დახურვა. მეტი წილი აქაურ წვრილ „ხაზეინებისა" ამ გვარ შევიწროებულ პირობებში ამყოფებს შეგირდებს და აგრეთვე ქარგლებს. შეიძლება მკითხველმა იცოდეს, რომ ამ რამდენისამე წლის წინად ე. ი. 95 წ. დაარსდა სამკითხველო ხელოსნებისათვის, რომელიც მოთავსებული იყო სახელოსნო გამგეობაში. შეგირდებს მაშინ ნება ჰქონდათ ხაზეინებისაგან, გამოეტანათ წიგნები და ეკითხათ. მაგრამ, საუბედუროდ, სახელოსნო გამგეობასთან ერთად დაიკეტა მთავრობის განკარგულებით სამკითხველოც. ეხლა არა თუ შეგირდებმა, თვით „ხაზეინებმაც" მიანებეს თავი წიგნისა და ჟურნალის კითხვას. სასურველია მოეწყოს ხელ-ახლა როგორმე ხელოსანთათვის სამკითხველო."

✦ ქუთაისში, როგორც „ნოვ. ობოზ."-ს ატყობინებენ, განუზრახავთ ორის დიდის შენობის აგება. ერთში სახაზინო პალატა და ხაზინა იქმნება მოთავსებული, ხოლო მეორეში—გუბერნატორის სადგომი, იმისი კანცელარია, საგუბერნიო გამგეობა, საქალაქო და საგლეხო საქმეთა საკრებულოები. ამბობენ, ეს მეორე შენობა 500,000 მანეთი დაჯდებაო.

რუსეთის ქრონიკა

✦ ამას წინად ვწერდით იმ მარტივ საერობო დაწესებულებათა შესახებ, რომელიც შემოიღეს ჯერ-ჯერობით სამს გუბერნიაში—ვიტებსკისა, მინსკისა და მოგილევისაში. ეხლა პოლონური გაზეთი „კრაი" გადმოგვცემს, ვინ დანიშნა მთავრობამ საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარედ და წევრებად. მინსკის გუბერნიაში თავმჯდომარედ დაინიშნა მინსკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მათვეევი, ხოლო წევრებად (ორია)—ერობის უფროსები (ზემსკი ნაჩალნიკი). მოგილიოვში თავმჯდომარედ როგაჩევის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, წევრებად (სამია)—საერობო უფროსნი. ვიტებსკში თავმჯდომარედ—ვიტებსკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, წევრებად—საერობო უფროსნი. გაზეთი უმატებს, რომ, როგორც ამ სიიდან სჩანს, საერობო გამგეობებს „ჩინოვნიკური" ხასიათი ექნებათო. საყურადღებოა, რომ ამ კუთხეში თავად-აზნაურთა წინამძღოლებსაც მთავრობა ჰნიშნავს.

✦ შემოდგომაზე ფინანსთა სამინისტრომ სხვა სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად უნდა გადაათვალიეროს და შესცვალოს კანონი სამრეწველო გადასახადის შესახებ. ამ საქმის განხილვის დროს მიიწვევენ, სხვათა შორის, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთ.

✦ გზათა სამინისტრომ განიხილა ის საჩივრის წიგნები, რომელიც რკინის გზებზეა, და სცნო, რომ ძალიან ბევრ საქმეში გზები ვერ იქცევიან კარგად. გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ რკინის გზის გამგეობებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მგზავრთა ნივთების გადაზიდვას.

✦ კიევის გაზეთების სიტყვით, პოლტავის გუბერნიაში სამუდამოდ დასაბინავებლად დაუნიშნიათ ყაზახთა ჯარის მთელი დივიზია. ეს ჯარი დაბანაკდება შემდეგ ქალაქებში: პოლტავასა, კრემენჩუკსა, კონსტანტინოგრადსა და ლუბნში. პოლტავასა და კონსტანტინოგრადში ყაზახები მისულან კიდეც. პოლტავაში ჯერ ყაზარმები არ არის, ამიტომ ჯარი ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში კერძო კაცების სახლებში ჩაუყენებიათ.

პრესსა

ვინ არ იცის, რა დინჯი, აუღელვებელი და მშვიდი დაწესებულებაა „რუსეთის დეპეშათა სააგენტო". ხშირად ერთის თვის განმავლობაში სააგენტო ერთსა და იმავე ამბავს იუწყება: აქა და აქ მდინარემ იკლო ან იმატაო. ათასში ერთხელ „სააგენტო" გამოურევს ხოლმე, რომ ჩრდილოეთ ან სამხრეთ პოლუსთან მიწის ძვრა მოხდაო. აი, მკითხველო, ამ მშვიდ „სააგენტოს" ეხლა „გრაჟდანინის" ახირებული რედაქტორი თავადი მეშჩერსკი ეუბნება, რომ რევოლიუციონერი ხარ და სულ რევოლიუციონურ ამბებს გვატყობინებო. მკითხველი, ეჭვი არ არის, ერთი გულიანად გადაიხარხარებს ამის წაკითხვაზე. არა, თუ მართლა „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს" ტელეგრამები რევოლიუციონურია, ნეტა ვიცოდეთ, არა რევოლიუციონური რაღაა? გაზეთი უსაყვედურებს სააგენტოს, რომ სერბიიდან მეფის მკვლელთა ამბებს გვატყობინებენ. ხოლო პარიზიდან—ჟორესისა და სხვა სოციალისტებისაო.

> განა სახელმწიფო ფულით იმიტომ ინახება „რუსეთის სააგენტო", რომ პარიზში კომბისა, ჟორესისა და სხვათა აგენტობა გასწიოს, ხოლო ბელგრადში—მოღალატებისა და მეფის მკვლელებისა. ნუ თუ არ შეიძლება პეტერბურგში ნამდვილი რუსები დავნიშნოთ სააგენტოს დეპეშების სარედაქციოთ და ეხლანდელი ანარქისტები სრულიად განვდევნოთ სააგენტოდან? მე დარწმუნებული ვარ, რომ ადვილად შესაძლებელია ესა.

ხომ ჰხედავთ, პატივცემული გაზეთი ანარქისტებს ეძახის „რუსეთის სააგენტოს" გამგეებს, თუმცა ეს სააგენტო, როგორც ვთქვით, საყურადღებო და საინტერესო ამბებს სულ არ გვატყობინებს.

წერილი ახალ-სენაკიდან

ჭიდაობა.—ქართული წარმოდგენები.—პეტრე-პავლობის დღესასწაული.—აბრეშუმის პარკის ფასები.—ამინდი.

კვირას, 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღეს, მთავრობის ნებართვით, ახალ-სენაკში გაიმართება ჭიდაობა. როგორც აფიშებიდანა სჩანს, „ცნობილი მოჭიდავე ნესტორ ესებუა იწვევს კავკასიის ყოველ კუთხიდან გამოჩენილს მოჭიდავე-ფალავნებს". „ვინც-კი ესებუასთან ისურვებს ჭიდაობას და წააქცევს, იგი მიიღებს ჯილდოდ 100 (ას) მანეთს". ხარჯს გარდა სრულ შემოსავლის ნახევარს ესებუა აძლევს აქაურს ახლად ასაშენებელ ეკკლესიას, რომელიც დიდი ხანია, რაც დაწყებულია, მაგრამ უფულობისა გამო ჯერაც არ არის დამთავრებული.

28 და 29 ივნისს, ბალანჩივაძის რეჟისორობით, ქუთაისის დრამატიული დასი მართავს აქ წარმოდგენებს. გარდა ამისა, როგორც ისმის, ამავე დღისათვის ტფილისიდანაც თურმე მოდიან ქართული სცენის მოყვარენი წარმოდგენების გასამართავად. თუ ეს გამართლდა, არ ვიცით, როგორ მოხერხდება ერთსა და იმავე დღეს ორი წარმოდგენა ერთად.

როგორც ახალ-სენაკის ვაჭრები, ისე იმის ახლო-მახლო მცხოვრებნი ახლავე დიდს სამზადისსა და ფაცა-ფუცში არიან მომავალ პეტრე-პავლობის დღესასწაულისათვის. სამწუხაროდ, ვერ იქმნა და ვერ მოხერხდა ისე, რომ „იარმუკობა" ყოფილიყო და არა თუმობა-ჯარიანობა, როგორც ეს ეხლა არის ხოლმე. სენაკისათვის ფრიად საჭირო და სასურველიცაა, რომ ჩვენმა დაბის წარმომადგენლებმა „იარმუკა"-თ გადააკეთონ, თორემ მცხოვრებთათვის ზარალის მეტი სასიკეთო არა მოაქვს-რა ამ თუმობა-ჯარიანობას, მით უმეტეს, რომ თვითოეულს ოჯახს ეს პეტრე-პავლობის დღესასწაული 1—5 თუმნამდე უჯდება.

საზოგადოდ, წელს მთელს მაზრასა და სამეგრელოშიაც, წარსულ წლებთან შედარებით, ნახევარზე ნაკლები მოსავალია აბრეშუმისა. ეს უფრო იმიტომ, რომ წელს ხალხმა ნაკლები თესლი დარიგდა. რაც დარიგდა, ისიც აქა-იქ გაფუჭდათ. ეხლა ფუთი უმი აბრეშუმის პარკი, ახალ-სენაკში მოტანილი, ღირს 17 მანეთად. გადმოდიან ისევ სამანდის მეადგილენი ბერძნები და იმათი აგენტები. ამ დღეებში ერთი უცხოელი სომეხი მოვიდა, რომელმაც აბაზი შაური მეტი მისცა ფუთს პარკში, ვიდრე ბერძნები აძლევენ. ბერძნებმა ეს სომეხი კინაღამ გაწყვიტეს: როგორ ჰბედავ მაზანდის გატეხას და ჩვენზე მეტის მიცემასო! სამწუხაროდ, ვერ გამოჩნდა ჩვენში ისეთი ადამიანი ან კერძო დაწესებულება, რომელსაც ოდნავ მაინც მეტოქობა გაეწია ამ ფრთა გაშლილ ბერძნების მოქმედებასთან. დღეს უდავოდ ადგილობრივი ნაწარმოები ამათ ხელშია. ამათზევე დამოკიდებული ფასების მომატება-დაკლებაც. „შუამავალ" ამხანაგობამ ცადა დაეწყო აბრეშუმის პარკისა იმ აზრით, რომ ცოტა კონკურენცია გაეწია, მაგრამ თავის დანიშნულებას ვერ მიაღწია, რადგან ფული შემოაკლდა. ამ ამხანაგობას შეუძლიან დიდი სიკეთე მოუტანოს საზოგადოებას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ წევრთა სიმცირე ხელს უშლის იმის მოქმედებას. ეს ამხანაგობა ახალ-სენაკში რომ არსებობდეს, დარწმუნებული ვარ, გაძლიერდება. თორემ სოფ. ძველი-სენაკი იმის არსებობას არავითარ სიკეთეს არ მოუტანს.

ამ ივნისში აქეთ საშინელი გვალვები იდგა, რომელმაც დიდად ხელი შეუშალა ჭირნახულის ზრდას. 19—20 ცოტა წვიმები მოვიდა და ათუთქული ჭეჭილი ისევ მოაბრუნა. თუ ასეთი ხშირი გვალვები დადგა, ვერაფერი მოსავალი იქნება წელს.

ტრიფონ კალანდარიშვილი

დაბა-სოფლები

დ. ყვირილა (იმერეთი). უეჭველად მკითხველს ეხსომება, რა დიდის ვაი-ვაგლახითა და წვალებით დაარსდა დ. ყვირილაში ოთხ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი. გვეგონა, რა-კი მთავრობამ ნება მოგვცა, საქმეც ამით გათავდებოდა. მაგრამ მარტო ეს არ კმაროდა თურმე. მეორე უფრო საჭირ-ბოროტო საქმე იყო სახლის აშენება. რა დღესაც ნება-რთვა მოვიღეთ, ამოვირჩიეთ კომიტეტი და დავავალეთ იმას საქმის სისრულეში მოყვანა. წელიწადია, რაც კომიტეტი საქმეს შეუდგა. პირობის ძალით, სკოლის შენობა 15 ივნისამდე უნდა დასრულებულიყო, მაგრამ დღემდის ორი არშინი კედლის მეტი არაფერი გაკეთებულა. მოიჯარადრესთან ხეირიანი პირობა ვერა აქვს კომიტეტს შეკრული. როგორც ვთქვით, შენობა უნდა დამთავრებულიყო 15 ივნისამდის, მაგრამ მოსალოდნელია, რომ შენობა კიდევ ერთ წელიწადს გასწევს. კომიტეტის წევრთა შორის თანხმობა ვერ არის და, ვგონებ, ესეც აგვიანებს საქმეს.

წელს სკოლის მეოთხე განყოფილება უნდა გაიხსნას და მგონი პირველი კი დაიხუროს, რადგან შენობა მოსწავლეებს ვეღარ დაიტევს. თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ, დარწმუნებული ვართ, ძალიან დიდს მადლობას მიიღებენ კომიტეტის წევრები საზოგადოებისაგან. №.

—

სოფ. ხამიბა (გურია). ჩვენი სასოფლო-საზოგადოებისთვის ამაღლებაში არსებობს ორ-კლასიანი სკოლა. სკოლა სამებაზე მოშორებულია ორი ვერსით. 1896 წლის დიდ ზამთრის გამო

ბლისათვის მაშინვე ვოდევილადა და მასხარობად გადაიქცევა, თეატრში მარტო დროს გასატარებლად დადის და თეატრის განმანათლებელი დანიშნულება აინუნშიაც არ მოსდის.

დიდი ხანია ქართულ თეატრში დავდივარ და არ მახსოვს, რომ წარმოდგენის შემდეგ, ინტელიგენტ და დიდ კაც მაყურებლის პირიდან რამე მსჯელობა გამეგონოს თითონ პიესაზე, მის მნიშვნელობასა და ავტორის განზრახვაზე. ამის მეტი არა გამიგონია რა: აბაშიძემ სიცილით მომკლა! რა ეშმაკია! ის ქალი (რომელიმე აქტრისა) რა ლამაზია! რა დიდი ხმა აქვს სვიმონიძეს! ლადო კარგად თამაშობს! გედევანიშვილმაც ბევრი პაცინა და სხვა ამისთანა. მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში მოსწავლე ახალგაზრდობა უფრო ხშირად ხმა მაღლა არჩევდა ხოლმე პიესის შინაარსს და არტისტების თამაშობას.

მაგრამ აბა ეხლა ყური დაუგდეთ, რას ლაპარაკობს წარმოდგენის შემდეგ ქანდარის ხალხი. ამათგან ხშირად მეტად მოსწრებული შენიშვნები გამიგონია ნათამაშევ პიესაზე. ესენი წარმოდგენის დროსაც თვალს არ აშორებენ სცენას; სახეზედაც ეტყობათ, რომ მომქმედ პირების სიცოცხლით ცოცხლობენ. ამნაირ მაყურებლისათვის სცენაზე საყვარელი ვასო აბაშიძე, ან ესა, თუ ის არტისტი კი არა, ის გმირები მოქმედებენ, რომლების როლსაც ამ საღამოს არტისტები თამაშობენ.

ქანდარა და პარტერის ერთი ნაწილი რეპერტუარსაც ძლიერ შეგნებითა და აზრიანად აფასებს და არჩევს. აშკარა უაზრობითა, ტრაბახობითა და რახა-რუხით სავსე ისტორიულ პიესებს ღირსებისამებრ დააფასებენ ხოლმე. პირიქით ნათარგმნ პიესებს, თუ ნამდვილისა და სადის გრძნობითაა დაწერილი, გინდ ცოტათი სანტიმენტალურიც იყვეს, მაინც ხალისიანად უყურებენ. მეტადრე თუ პიესაში კეთილი ბოროტს ებრძვის და ბოლოს კეთილი სძლევს—ამნაირი პიესა ყოველთვის ქანდარასა და პარტერის საუკეთესო ნაწილში აღტაცებას იწვევს. „უბედურ ვარსკვლავ ქვეშ" კანოს-იმაზასისა; „ძმები რანცაუ" ერკმან შატრიანისა და სხვა. საუბედუროთ ჩვენის თეატრის რეპერტუარში ამნაირი პიესა ცოტაა, სამაგიეროდ ძლიერ ბევრია ისეთი უხეირო პიესა, რომლებიც ვერც სულიერ საზრდოს მისცემენ, ვერც გააკეთილშობილებენ მაყურებელს. ახალი რეპერტუარი, ნათარგმნი, სნეულის გმირებით, დამახინჯებულ სულებით და დატანჯულ ნერვებით ჩვენ საშუალო მაყურებელს ვერ აძლევს იმ სულიერ საზრდოს, რომლისთვისაც ეს მაყურებელი თეატრში მიდის. ამნაირი პიესები ჭკუაში არ მოსდის ჩვენ სულით მაგარ, ცოტა გულ-უბრყვილო მაყურებელს. ამიტომ ჯერ-ჯერობით სულ ხელი უნდა ავიღოთ ჩვენის საზოგადოებისათვის გაუგებარ მეტერლინკსა, ზუდერმანსა და ჰაუპტმანზე და სხვა უკეთესი საზრდო მოვსძებნოთ ჩვენის მაყურებლისათვის.

დ. ყიფიანი

ყმაწვილები მოსწყდნენ სკოლას, რის გამო სამებლებმა განიზრახეს დაარსება სამრევლო სკოლისა. ბავშვები მოსწყდნენ არა მარტო ამ ერთს ზამთარს. საზოგადოდ ცუდის ამინდების გამო შეუძლებელია ყმაწვილებისთვის ასეთ მანძილზე სიარული. სიშორის გარდა, სამებსა და ამილდებას შუა ჩამოუდის ჭვირთის ღელე, რომელზედაც ხიდი არ არის. გზაც პატარა წვიმის შემდეგ საშინლად ტალახიანდება. სამწუხაროდ, სამებლები არც თავიანთ შვილებზე ზრუნავენ და არც გზების შეკეთებაზე. ბოლოს, როგორც იქმნა, სამრევლო სკოლისთვის იყიდეს შენობა 800 მანეთად და დასდგეს ეკლესიის მახლობლად. შემდეგ დაადგინეს განაჩენი, მოამზადეს ქაღალდები და წარუდგინეს მთავრობას. ადგილობრივმა მღვდელმა მოისურვა მასწავლებლად ერთის ახალგაზრდა კაცის დანიშვნა, რომელმაც ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ სოფელმა უარი უთხრა. რადგანაც სოფლელთა სიტყვა არ გავიდა, სამებლებმა უარი განაცხადეს სკოლის დაარსებაზე. „რადგან ჩვენ ვერ გავხდით სასურველ მასწავლებლის ღირსი,—ამბობდნენ,—მადლობა ღმერთს, შენობა აგვიშენებია, თუმც ტყულა, მგზავრი ვინმე ღამეს გაათევს და მადლიათ“. რამდენჯერმე გამოუცხადეს ძალადმასწავლებელს სხვაგან ეძებნა ადგილი და აქ თავი დაენებებინა, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის და, ამ მდგომარეობაშია დღემდის სკოლის საქმე. მასწავლებელი მასწავლებლობს (15 მოსწავლე ჰყავს), მაგრამ ჯამაგირს არავინ აძლევს.

ასკანელი.

ცხინვალი (ქართლი). დაბედშავებულთ ბედმა გაუღიმა, ეღირსნენ ცეცხლისაგან დაზარალებულნი იმ ფულის მიღებას, რომელიც შეგროვდა სხვა-და-სხვა ქალაქში ამათ სასარგებლოდ. ხუთ მეტრედ დაზარალებულმა მიიღო ექვსი მანეთი, ძალიან დაზარალებულმა—სამოცი თუმანი. უნდათ ეხლა სახლების აშენება, რომ როგორმე შეაფარონ თავი, მაგრამ უინჟინეროთ და „უპლანოთ“ ნებას არ აძლევენ: უნდა ინჟინერი მოიწვიოთ თქვენის საფასით და იმის გეგმაზე ააშენოთო. ხალხი გაჭირვებაში ჩავარდა, ძლივ-ძლიობისას ერთი-ორი გროში ფული აიღეს; ეხლა ინჟინრის გამოწვევაზე ძლივს ეყოფათ და სახლი რით ააშენონ? ერთ ქვრივ დედაკაცს შარშან ვაჟი შვილი (16—17 წლისა) მოუკვდა. წელს უნდოდა წლის წირვა გადაეხადნა და ყავარს ახურვინებდა თავის სახლს, რომ ჩემ ქოხში გადავიხდიო... (ყავარი შარშან დაეწვა, კედლები და ჭერი კი გადარჩა). მობრძანდა უფალი მამასახლისი და სულ ქუჩებში ისროლა დახურულ ყავრის ნამტვრევები და არ მისცა მომუშავეთ ნება, რომ სახლისთვის ყავარი დაეხურათ. ამ გვარი მაგალითები ბევრი მოხდა, ყველა დაზარალებული წუწუნებს, მაგრამ შემბრალე არავინაა. მამასახლისმა გამოსცა ბრძანება, რომ თუ გინდათ აითვად გადარჩეთ, ყველამ სამ-სამი მანეთი გამოიღეთ, მომეცით მე და ტფილისიდან მოგიტანთ გუბერნატორის განკარგულებას, რომ უინჟინეროთ ააშენოთ სახლებიო.

ახლოვდება მამასახლისის არჩევნები; ყველა ფაცი-ფუცშია. ბევრს უნდა მამასახლისობა და მელასავით აქა-იქ დაძრწის, დაქეიფობს, აქეიფებს „ძმა-ბიჭებს“, მე ამომირჩიეთო.

რებუსი.

წერილი რედაქციის მიმართ

ჭაგანის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ანგარიში

რადგან სხვა-და-სხვა, ჩვენგან დამოუკიდებელ, მიზეზებისა გამო, ანგარიშის განსახილველად და დასამტკიცებლად საზოგადო კრების მოხდენა შეუძლებელია, ამისათვის გთხოვთ ამ ანგარიშს დაუთმოთ ადგილი თქვენს გაზეთში.

„კვალი“-ს მესამე №-ში დავსტამბეთ მოწოდება, რომლითაც ვთხოვდით ჭაგანის ახალ-გაზრდობას, შემწეობა აღმოეჩინა ჭაგანში უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად. თანაგრძნობამ და დახმარებამ მოლოდინს გადააჭარბა. სამკითხველოსთვის ავაგეთ პატარა შენობა, თავისის შკაფებით, რაიცა უკვე მზად არის. ამ შენობის აგებაზე დაგვეხარჯა ნაღდ ფულად 127 მ. 83 კ. შემოსავალი: ტფილისში შეკრებილი ბ-ნ ივანე მანჯგალაძის მიერ—25 მ. 50 კ., ბათომში შეკრებილი ბ-ნ მიხეილ მანჯგალაძის მიერ—39 მ., ადგილობრივ თანამგრძნობთა შორის შეკრებილი—8 მან., 15 მანეთი შემოსწირა ბ-ნმა სერებრიაკოვმა. სულ 87 მ. 50 კ. დაიხარჯა: ფიცრები—43 მ. 60 კ., ფიცრის მოტანა 4 მ. 80 კ., პარომის ქირა 1 მ. 30 კ., მეურმეებს სადილი 70 კ., ყავარი—19 მ. 30 კაპ., ყავრის მოტანა—90 კ., კარების და ფანჯრების კილოები—1 მ. 25 კ., ხეები: საძირკვლისთვის, სარტყლები და ლარტყები—3 მ., 20 კ., ლამფები პერისთვის—11 მ. 96 კ., კარების და ფანჯრების ჩარჩოები—3 მ. 50 კ., შკაფების ფიცრები და კილოები—2 მ. 82 კ., ბოკნები—1 მ., ლურსმანი—2 მ. 50 კ., ოსტატს—31 მ., სულ—127 მ. 83 კ. დარჩა ვალი სამკითხველოზე 40 მ. 33 კ. ჩვენ გვჯერა, რომ ისინი, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს, ამ ვალსაც თავიდან მოგვაშორებინებენ, მით უმეტეს, რომ ჩვენ საშუალება აღარა გვაქვს საღამო ან წარმოდგენა გავმართოთ სამკითხველოს სასარგებლოდ. გარდა ზემო ჩამოთვლილთა, შემოსწირეს: 3 მ. ხეები ვლად. კოპალეიშვილმა, 1 მ. სისონ მანჯგალაძემ. შენობა დღეს მზადაა. სამკითხველოს აქვს 130 მ. რუსულ-ქართული წიგნი, რომლებიც შეკრებილია პ. ქაჯაიას მიერ და იმასვე აბარია. გარდა ამ წიგნებისა სამკითხველოს მოსდის რამდენიმე რუსულ-ქართული გაზეთი, დაკვეთილი სხვა და სხვა პირების მიერ, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სამკითხველოს ინტერესების დასაცველად, საჭიროდ ვსცანით, დრომდის შევაჩეროთ კარების გაღება მკითხველთათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შენობის აგებაში ყველაზე მეტი შრომა მიუძღვის ვლადიმერ კოპალეიშვილს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია. გულითად მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ექვთიმე თომას ძე კოპალეიშვილს, რომელმაც უფასოდ დაგვითმო სამკითხველოს დასადგმელი ადგილი. დასასრულ ულრმეს მადლობას ვუძღვნით ყველა იმათ, რომელთაც სიტყვით თუ საქმით დახმარება გაგვიწიეს.

გრ. ურატაძე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 20 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.	93,85	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,50	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,60	
ბირჟის დისკონტი	5—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	98⅝	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100¾	მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛	„
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	436	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	337	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	286	
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა		
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.		
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—	

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9) ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათოით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს. 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს, 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო.-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 8 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3).ს სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 ? წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო.-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ტყიბულისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

ცალკერძოთ ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფოს იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში დირს 12 მან. გამგე ექიმი ისაიასტნოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლეფსკისა.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლ. ხთაბ. ბრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მდგომარეობაზ ქუჩ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხაჩირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—93)

დაიბეჭდა და იყიდება გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლ, ალ. იგ. ნათაძეს. (ვ. 0—14)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელთ მოთხრობა—მელანიასი.	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პლატონისა	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, სოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

გამოვიდა და იყიდება

ტფილისში: ქართველთა ამხანაგობის და წერ. კით. გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიებში და **ქუთაისში:** ბ. მიტრ. ლორთქიფანიძესთან. ლიძესთან.

ქართული ანდაზები

ფრანგულად თარგმნილი

თ. სახოკია-მიერ

ფასი ხთი შაური (4—2)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და **კაბები** ქალებისა და ბავშვებისათვის.

ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—10.

განცხადება.

სავაჭრო-საკომისიონერო ამხანაგობა

„გეორგია“

ვაცნობებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ **გავხსენით კანტორა ბათუმში** ამხანაგობა „გეორგია“-ს ფირმით, ვიწყებთ მოქმედებას პირველ ივლისიდან ამა წლისა.

ვკისრულობთ ყოველგვარ **სავაჭრო-საკომისიონერო საქმეებს და აგენტობა-წარმომადგენლობას ფირმებისა და ქარხნებისას.** ვაწვდით მსურველთ პირდაპირ რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ქარხნებისაგან: სამეურნეო იარაღს, მანქანებს, რკინის კრავატებს, ფასფორის ჭურჭლეულობას, საკანცელარიო ნივთებს, აბრეშუმის თესლს, კრამიტს, ზეითუნისა და სხვა-და სხვა სამკურნალო ბალახეულობის ზეთს, მანუფაქტურას, შალეულობას, შაბიამანს, გოგირდს, თოკებს და სხვა. აგრეთვე ვაგზავნით საზღვარ-გარეთ და რუსეთში:—მარგანეცს, აზბესტს, ბარიტს, სიმინდს, თუთუნს, პარკს, ბამბას, მუხისა, ნიგვზისა, ბზისა და სხვა ხეებს, ხილს, კვერცხს და სხვას...

ვათავისუფლებთ **ადგილობრივ დამოკნებში** ყოველგვარ საქონელს, ვიხდით სადამოჟნო გადასახადებს, ვაგზავნით საქონელს კუთვნილებისადმი ზომიერის სასყიდლით.

ყოველსავე ცნობას და ჩვენის ამხანაგობის შესახებ საჭირო ალნიშნას დაუყოვნებლივ მივაწოდებთ ყველას, ვინც ინებებს და გამოგვიგზავნის ერთს 7 კაპეიკიანს ფოშტის მარკას.

მიწერ-მოწერა და მოლაპარაკება სწარმოებს: **ქართულს, რუსულს, ინგლისურს, ფრანგულს, ბერძნულს და თათრულს ენებზე.**

ჩვენის ქვეყნის საფუძვლიანად ცოდნა, განიერი კავშირი უცხოელთა და სხვა სივაჭრო სახლებ-ქარხნებთან გვაძლევს საშუალებას, სწრაფად, წესიერად, ყველასთვის ხელ-მისაწვდენ პირობებში აღვასრულოთ ყოველგვარი მონდობილობა პატივცემულ საზოგადოებისა.

ჩვენი ადრესი: ბათუმი, ამხანაგობა „გეორგია“. დეპეშისათვის ბათუმი—გეორგია.

(4—6—1) მმართველი ამხანაგობისა **იასე რაჭველი—მეხუზლა.**

Дозв. ценз. Тифлисъ. 23 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)